

მანანა ქოჩლაძე: ენერგეტიკის სფეროში არც ერთი კონტრაქტი არც ერთ ექსპერტს არ უნახავს

netgazeti.ge/news/166661/

მარიამ ბოგვერაძე

საქართველოს მთავრობის გადანყვეტილებით, “გაზპრომთან” ახალი ხელშეკრულების ფარგლებში რუსეთიდან სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტისთვის საქართველო ფულად ანაზღაურებას მიიღებს. ხელშეკრულების განახლებული პირობების შეფასება “ნეტგაზეთმა” არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივის” თავმჯდომარეს, მანანა ქოჩლაძეს სთხოვა. გთავაზობთ მასთან მოკლე ინტერვიუს:

დღეს საქართველოს მთავრობამ “გაზპრომთან” განახლებული ხელშეკრულების გაფორმების გადანყვეტილება მიიღო, თუმცა კონტრაქტის დეტალები, მათ შორის ფულადი ანაზღაურების მოცულობაც, რომელსაც ქვეყანა გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ მიიღებს, არაა ცნობილი. ამის მიუხედავად, როგორ აფასებთ განახლებულ ხელშეკრულებას?

არ ვიცი, კონკრეტულად რაში მდგომარობს შეთანხმება გარდა იმისა, რომ მოხდება ფულადი გადახდა. გარდა იმისა, რომ ფასიც არაა ცნობილი, მისი ცოდნაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ შეფასდეს, რამდენად კარგია კონტრაქტი – უნდა ვიცოდეთ, რა წერია, რას გთავაზობს მხარე, იმისათვის, რომ შევაფასოთ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

აქ მთავარი ის კი არ არის, რა ფასს შემოგვთავაზებს “გაზპრომი”, ან ჩვენ რა ფასს შევთავაზებთ, არამედ ის, თუ როგორ დგინდება ეს ფასი – ეს არის მნიშვნელოვანი. ფასის დადგენა უნდა მოხდეს თავისი წესით, ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, თუ გვინდა, რომ შევასრულოთ თუნდაც იგივე ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნა.

ამისთვის საჭიროა, რომ გაზის სახელმწიფო კორპორაციამ დაითვალოს, რა უჯდება გაზის ტრანზიტი. ჩვეულებრივ, ითვლიან ათას კუბურ მეტრს ყოველ ას კილომეტრზე და ეს ხარჯი შემდგომ უნდა დაამტკიცოს მარეგულირებელმა კომისიამ. ესაა მნიშვნელოვანი, რომ იყოს გამჭვირვალობა და არა ის, რომ “გაზპრომმა” უთხრა – მე ამ ფასს გადაგიხდი და საქართველოს მთავრობა დათანხმდა. შეთანხმება, რომ ვთქვათ, ზუსტად ასეთივე ანაზღაურება ხდება მაგალითად სლოვაკეთთან, რომ “გაზპრომი” გაზის ტრანზიტის ფულს უხდის სლოვაკეთს, მაგრამ, აი, როგორ ხდება ეს ფასის წარმოქმნა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ სწორედ ეს გვაძლევს იმის გარანტიას, რომ მეტი გამჭვირვალობა იყოს სექტორში.

როგორც ვხვდები, თქვენ ემხრობით ტრანზიტის საფასურის ფულად ანაზღაურებას?

ჩვენ არ ვემხრობოდით იგივე იმ ათი პროცენტის გაზის სახით მოწოდებას იმიტომ, რომ, საბოლოო ჯამში, ეს მაინც ფასდებოდა გარკვეულწილად რაღაც ფასად. აი, მაგალითად, თუ გახსოვთ, 2012 წელს დაიწყო ამაზე უცებ ლაპარაკი, იქ იყო ერთი ასეთი საინტერესო რამ – ყოფილმა ენერგეტიკის მინისტრმა ხეთაგურმა თქვა, რომ ეს გაზი, 10 % , რომელიც მოგვეწოდება, არის სოციალური გაზი, რომელსაც ძალიან იაფად, სადღაც 110-დან 143 დოლარამდე ვღებულობთ. მაშინ, როდესაც იგივე გაზის ტრანზიტის საფასური სოკარისთვის არის 55 დოლარი. ეს გაურკვევლობები თავისთავად, რომ ჩვენ გაზის ხელშეკრულების არც ერთი ტექსტი არ ვიცი, ქმნის იმის საშიშროებას, რომ ადამიანები, რომლებიც ყოველ წელს თანხმდებიან რაღაცა გარკვეულ ფასზე, 10 % იქნება თუ 15 % , რაღაც თავის კოგნიტურ ინტერესებს იკმაყოფილებენ, რომელიც შეიძლება კორუფციულიც იყოს. იმიტომ, რომ ვის მიწოდება შემდეგ ეს იაფი გაზი, ან უფრო ძვირი გაზი, არავინ არ იცის სინამდვილეში. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამაზე იყოს ლაპარაკი, რომ ეს კონტრაქტი იყოს გამჭვირვალე ისეთივე წესებით, რა წესებიც არსებობს ევროკავშირში. ჯერ კომპანიამ და მერე მარეგულირებელმა განიხილონ დანახარჯები, იმიტომ, რომ როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, ისინი უფასოდ გვიტოვებენ 10%-ს გაზისას, რასაც აწვდიან სომხეთს, ეს უფასო არ

არის. უფასო არ არსებობს არაფერი. ამის ფასში შედის იგივე გამსაღწევის მომსახურება, როგორც დისპეტჩერიზაცია, ასევე, მისი შეკეთებისთვის საჭირო ფინანსები. შესაბამისად, როგორ იხარება ეს შემდეგ ხარჯთაღრიცხვაში, ჩვენ ეს არასოდეს არ ვიცით. ამიტომ არის მნიშვნელოვანი და ამიტომ გადავიდა მოფლიოს პროგრესული ნაწილი მონეტიზაციაზე, იმიტომ, რომ მონეტარიზაციის პროცესი და წესები, რომელიც არსებობს, გარკვეულწილად გვაძლევს იმის საშუალებას, რომ იყოს მეტი წესრიგი იმაში, რაც ხდება.

მინისტრმა რამდენიმეჯერ აღნიშნა, რომ მონეტიზაცია საერთაშორისო პრაქტიკაა. თქვენი შეფასებით, რამდენად თანხვედრაშია ეს ხელშეკრულება ამ კუთხით ევროპულ სტანდარტებთან?

ჩვენ თუ გვინდა, რომ კორუფცია როგორმე აღმოვფხვრათ ენერგეტიკის სფეროში, უნდა გადავიდეთ საერთაშორისო სტანდარტებზე. პოლიტიკურადაც, თუ პოლიტიკურად ვაფასებთ, იმაში, რომ გაბპრომი ფულს გადაიხდის და არა გაბს მოგვანოდებს, მე, მაგალითად, ბევრად უფრო მეტ ბენეფიტს ვხედავ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში “გაბპრომი” ისევე იწყებს ჩვენთან მოქცევას, როგორც სლოვაკეთთან, უნგრეთთან და სხვებთან. ასეთი მიდგომა ჰქონდათ იმავე უკრაინასთან 2016 წლამდე და, სხვათა შორის, 2016 წელს, როდესაც უკრაინამ ევროკავშირის ენერგოგაერთიანების მოთხოვნით დაითვალა ტარიფი, თუ რამდენი უკლებოდა ამ გაბის გადატანა, არ მოეწონა რუსეთს ეს ტარიფი და ამაზე მთელი ომი მიდის ევროკავშირს, უკრაინასა და რუსეთს შორის. იმიტომ, რომ რუსეთს მიაჩნია, რომ ის ფასი, რომელიც დაადგინა მარეგულირებელმა და რომლითაც დაითვალა ფასი, არის ძალიან მაღალი. უკრაინა ამბობს, რომ იგივე მეთოდოლოგია გამოიყენეს, რასაც სთხოვდა ენერგოგაერთიანება. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვიცოდეთ, საბოლოო ჯამში, ამ სექტორში რა ხდება და ჩემი აზრით, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე “არა გაბპრომის” ძახილი, იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს კონტრაქტი 2026 წლამდე აბერბაიჯანთან და, მე იმედი მაქვს, ამ კონტრაქტის გადახედვას არავინ არ აპირებს. ისევე, როგორც რუსეთთან ჩვენ 2003 წლიდან გვაქვს ეს ყოველწლიურად განახლებადი კონტრაქტი. ყოველ წელიწადს თავიდან დანყება იმის, რომ “არა გაბპრომს”, ჯობია ვილაპარაკოთ უფრო მეტ გამჭვირვალობაზე ენერგოსექტორში. ალბათ, რაღაცაზე საზოგადოებამაც უნდა იფიქროს, რა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის – იყოს უფრო მეტი გამჭვირვალობა, თუ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ რაღაცა სუბსიდირება ხდება გაბის, რომელიც, საბოლოო ჯამში, არ ხდება. ტარიფი მაინც მაღალია იმიტომ, რომ ეს სხვა, შეიძლება თუნცად იგივე კორუფციის შედეგიც იყოს. ამ წუთში ჩვენ არ ვიცით, გაბის სექტორში საერთოდ რა ხდება. არც ერთი კონტრაქტი არც ერთ ექსპერტს არ უნახავს. ამას ვამბობ დარწმუნებით.

მთავრობის სხდომაზე ასევე ითქვა, რომ გაბის მოხმარება ქვეყანაში იზრდება და სემონური დეფიციტის არსებობის შემთხვევაში, საქართველო “გაბპრომისგან” ბუნებრივ აირს შეღავათიან ფასში მიიღებს.

გაბის საბაზრო ფასს ყველა ქვეყნისთვის “გაბპრომი” ადგენს ცალ-ცალკე პოლიტიკური პრეფერენციებიდან გამომდინარე. მე, მაგალითად, საქართველოს მთავრობის ადგილას თავს შევიკავებდი, პოლიტიკური ფასი გადამეხადა გაბში. სწორედ იმიტომ არის ეს მესამე მომენტი, რაზეც ჩვენ უნდა ვიფიქროთ – გაბის მოხმარება კი არ უნდა იზრდებოდეს ქვეყანაში, არამედ მცირდებოდეს. ამ პოლიტიკას უნდა ატარებდეს ჩვენი მთავრობა, რომ ესმოდეს, რა პრობლემების წინაშე ვდგავართ. სამწუხაროდ, სინამდვილეში, მთელი პოლიტიკა დაგეგმილია იქითკენ, რომ ქვეყანაში გაიზარდოს გაბის მოხმარება. იგივე, მაგალითად, სოფლების გაბიფიცირებაზე მაქვს საუბარი. შესაძლებელი იყო, რომ გვეფიქრა პირველი ინვესტიციისთვის უფრო მაღალხარჯიან პროექტებზე, რომლებიც შემდგომში ესპლუატაციისას უფრო ნაკლებხარჯიანი იქნებოდა. ჩვენთვის პრინციპში მნიშვნელობა არ აქვს, დამოკიდებული ვიქნებით რუსეთზე, თუ ვიქნებით დამოკიდებული აბერბაიჯანზე. როდესაც ვსაუბრობთ ენერგოდამოუკიდებლობაზე, უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ არც ნავთობის სექტორში, არც ელექტროენერჯის სექტორში, არც გაბის სექტორში არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული არც ერთ ქვეყანაზე ძირითადად და ამისთვის ერთადერთი გზაა ენერჯის მოხმარების შემცირება და არა გაზრდა, რასაც ასე მიესალმება ენერგეტიკის სამინისტრო.

თუნდაც სემონური დეფიციტის აღმოსაფხვრელად რუსული ბუნებრივი აირის შეძენა გაზრდის თუ არა ქვეყნის დამოკიდებულებას რუსულ გაზზე?

თუ დამატებითი შესყიდვა მოხდება, არ მგონია, ეს იყოს ძალიან მნიშვნელოვანი. ამასთან, მე მგონია, რომ თუ რომელიმე კომერციულ დაწესებულებას სჭირდება გაზი, მათ ყოველთვის შეუძლიათ ისევ რუსეთიდან შემოიტანონ. სხვათა შორის, ასეც ხდება. ვინაიდან საერთოდ არაფერი არ ვიცი, გაზის სექტორში რა შემოდის, რა გადის, როგორ ნაწილდება, იმდენად დახურული სექტორია – შესაბამისად, ალბათ, მთელი აქცენტი უნდა გადავიტანოთ იმაზე, რომ გავიგოთ, რა შემოდის, რა გადის, ვინ მოიხმარს ამ გაზს და რატომ მოიხმარს.

“მწვანე ალტერნატივა”, რომელსაც მანანა ქოჩლაძე წლებია ხელმძღვანელობს, არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წლიდან ფუნქციონირებს. ორგანიზაციის მიზანია მდგრადი განვითარებისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების შექმნის ხელშეწყობა; გარემოსდაცვით საქმიანობაში შესაბამისი სამთავრობო უწყებების, ბიზნესის წარმომადგენლების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების ჩართვის მხარდაჭერა; მდგრადი განვითარების, გარემოს კონსერვაციისა და აღდგენის ხელშეწყობი ფართო სოციალური ალიანსების შექმნა; ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე ლობირების გზით, გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით დესტრუქციული პოლიტიკისა და პროექტების შეცვლას ან შეჩერებას და მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობა.